წელიწადი 1-ლი   გაზ. ფასი 3 შაური.   ტელეფონი № 76.   შაბათი დეკემბრის 16—(29) 1917

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . . . 3 შაური.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ღირს . . 2 აბაზი.
უკანასკნელ გვერდზე . . . . [illegible] შაური.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი [illegible]
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა
უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 1 საათ.
8 მ. 1 საათის შემდეგ 10 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღია დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 201   ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი   № 201

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირას, 17 დეკემბერს, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაზე გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

ნიკოლოზ ლუარსაბის ძის გრიგორაშვილის

სულის მოსახსენებლათ, რასაც ღრმათ დამწუხრებულნი და გულ მოკლულნი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს ქვრივი მეუღლე მისი მარიამ ნიკოლოზის ასული გრიგორაშვილისა შვილები: ნიკოლოზ და ელენე გრიგორაშვილები, დედა სეფორე გრიგორაშვილისა, ძმა მისი მაქსიმე გრიგორაშვილი, რძალი ნინა გრიგორაშვილისა, სიმამრი ნიკიფორე კვიმსაძე და სიდედრი ანნა კვიმსაძისა. წირვა დაიწყება დილის 11 საათზე.

ქუთაისის სამეურნეო სკოლა გულის ტკივილით აუწყებს საზოგადოებას ყოფილი მზრუნველის

დავით ნიკოლოზის ძის ბაქრაძის

გარდაცვალებას, რომლის სულის მოსახსენებლათ საკათედრო ტაძარში წირვას და პანაშვიდს 17 დეკემბერს, დილით კვირას გადაიხდის ყოვლად სამღვდელო **ანტონ ქუთათელი.**

ექიმი კ. ხ. ადამია იღებს საბებით, შინაგან და ბავშთა სნეულებით ავადმყოფთ. დილის 11 საათ. 1 საათ. საღამ. 6 საათ. 8 საათ. ბალის ქუჩა სახლი სანიკიძის № 12.

ქირავდება ერთი დიდი სინათლიანი ზალა თავის მოწყობილობით, გათბობით და ნივთით. ადრესი: ნაგორნი უჩასტოკი, ლევაშოვის ქუჩა, ჯაიანის შესახვევი, სახლი № 21.

საქართველოს ეროვნული საბჭო

ქართველ მხედრობას.

ამხანაგებო!

რევოლიუცია დიდ საფრთხეს განიცდის. ბოლშევიკების გამოსვლასთან სდევს ბნელი ელემენტების ამოძრავება. ირაზმებიან „პოგრომშჩიკები", მთელ თავის ძალღონეს იკრებენ სხვა და სხვა ჯურის დამრბევნი. ქვეყანა სდგას ანარქიის უფსკრულის წინაშე, თუ ასე გაგრძელდა, რუსეთის დაქუცმაცება, ხალხის დიდი რევოლიუციის უექველი დასამარება მოელის. განსაკუთრებით აუტანელია განაპირა კუთხეების და კერძოდ ამიერ-კავკასიის მდგომარეობა. ბოლშევიკების აგიტაციის წყალობით ფრონტი ჯარისაგან იცლება. რუსის ჯარის კაცები—სახში მიეშურებიან. ჩვენი ქვეყანა სდგას ორნაირი საფრთხის წინაშე: კავკასიის ფრონტის დასუსტებისა და შინაგანი დარბევის. პირველი—თვალწინ გვიყენებს ოსმალთა შემოსევის აჩრდილს, ხოლო მეორე ემუქრება ერის ნივთიერ კეთილდღეობას, მის კულტურას. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ერის ფიზიკური არსების დაცვა მოითხოვს საყოველთაო დარაზმვას, პირველ ყოვლისა კი გაწვრთნილ სამხედრო ძალას. ამ ძალის შექმნას უკვე შეუდგნენ კავკასიის ერნი, ახლა ჯერი მიდგა ჩვენზე, ასეთია მდგომარეობა. ამიტომ იყო ყველა ჩვენში მომქმედი პოლიტიკური პარტია გარდა ბოლშევიკებისა, უმნიშვნელო ჯგუფისა. შემოიკრიბა საქართველოს ეროვნულ საბჭოს გარშემო და მის უპირველესათ ქართველი ჯარის მოწყობა მიანდო. ქართველი დემოკრატია მუდამ რუსეთის რევოლიუციის მოწინავე რაზმს წარმოადგენდა. ის თავის ისტორიულ მოვალეობას პირნათლად შეასრულებს ეხლანდელ, მეტად მძიმე, მომენტშიაც. ჩვენი ახლად შემდგარი და შესაფერად გაწვრთნილი ჯარი რევოლიუციისა და ერის ფიზიკურ არსებობის და მისი იდეალების განხორციელების საუკეთესო დარაჯი იქნება. ქართველი ჯარი ჩვენი დემოკრატიის მეტად ბასრი იარაღი გახდება. ამიტომაც საქართველოს ეროვნული საბჭო და მასთან არსებული სამხედრო საქმეთა კომისია მოუწოდებს ყველა ქართველ მხედრობას ჯარის-კაცსა და აფიცრებს, გამოეშურონ საქართველოსკენ, როგორც კავკასიისა, ისე რუსეთის დასავლეთ ფრონტიდან და აქ ჩაეწერონ ქართველ პოლკებში. შესაფერი ნებართვა უკვე გამოაქვეყნა კავკასიის ფრონტის მთავარსარდალმა. დაყოვნება საერთო საქმის დაღუპვა იქნება, დაგვიანება რევოლიუციისა და ჩვენი ერის მტრების ხელის შეწყობას მოასწავებს. ამხანაგებო! ქართველი ხალხი მუდამ რევოლიუციის საუკეთესო ბურჯს წარმოადგენს. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ თქვენ არ უღალატებთ საერთო საქმეს და ერს საუკეთესო ტრადიციებს. ამ მიზნისათვის დღეს აუცილებლად საჭიროა ძლევამოსილი და გაწვრთნილი ქართველი ჯარის შედგენა. დაიხსენით რევოლიუცია განსაცდელისაგან! უზრუნველ ჰყავით ერის ფიზიკური არსებობა და მისი საუკეთესო იდეალების განხორციელება! ჩაეწერეთ ქართულ პოლკებში. ქართველი ჯარი რევოლიუციის გამარჯვების თავდები იქნება.

გაუმარჯოს ქართველ რევოლიუციონურ ჯარს.

გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას!

ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია.

სამხედრო საქმეთა გამგე ნოე რამიშვილი.

ეროვნული საბჭოს საქმეთა მმართველი პ. დ. საყვარელიძე.

საქართველო

და უკრაინის დამოუკიდებლობა.

უკრაინის მცირე რადამ დეკემბრის 9-ს საღამოთი, გენერალ სეკრეტარიატის დეკლარაცია მიიღო, რომლითაც **უკრაინის რული დამოუკიდებლობა** ცხადდება.

ამნაირად, როგორც არა ერთხელ გვითქვამს, უკრაინა ამ მხრივაც ტონს აძლევს რუსეთში ეროვნულ მოძრაობას. მაშასადამე, რევოლიუციაც, თუ ერთის მხრივ თავზარდაცემულია, მეორეს მხრით იგი სალის გზით მიდის. თვითპყრობელობამ, თავად ლვოვის მთავრობამ, კერენსკის დიქტატურამ და ბოლო ხანებში ბოლშევიკების მეფობამ ნათლად დაამტკიცეს, რომ ეროვნული კითხვის მოგვარება მათ არ ძალუძთ., რაღა დარჩენოდა ერებს, თუ არა საკუთარ თავზე საკუთარის ძალით ზრუნვა.

ბრძოლაში გამოწრთობილმა უკრაინამ ყველაზე ადრე გადადგა შეგნებული და ლოღიკური ნაბიჯი. მან ყველაფერი გაითვალისწინა. გაითვალისწინა ისიც, რომ რუსეთში ვერაფრის გზით უკრაინის კითხვა ვერ მორიგდებოდა. მაშასადამე, საჭირო იყო ამ კითხვის უფრო ფართო წრეებში გადატანა. მიუხედავად ძლიერისა და მრავალ რიცხოვან საკუთარ ჯარისა, აუცილებელი შეიქმნა ვარეშე ძალის დახმარებაც, რომელსაც უკრაინა საერთაშორისო საზავო კონგრესში ხედავს.

ალბად კარგად გაიგო უკრაინის გენერალ სეკრეტარიატმა ის განცხადება გერმანეთის ერთ-ერთი რწმუნებულისა, რომ ეროვნული თვით-გამორკვევის კითხვის დასმა არ უნდა შეადგენდეს საზავო კონგრესის საგანს, არამედ თვით დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა უნდა მოაგვარონ იგი.

ეს ოფიციალური, თუ არა ოფიციალური თქმა საყურადღებოთ დარჩენილა უკრაინისათვის. საზავო კონგრესი მისთვის აუცილებელი საფეხურია ეროვნულ თავისუფლების დასტურისათვის და ამას იგი აღწევს იმით, რომ უკრაინა დამოუკიდებელ სახელმწიფო-რესპუბლიკად გამოაცხადა. თუ საერთაშორისო საზავო კონგრესის კარები ერებისათვის დაიკეტება, სახელმწიფოებისთვის ამ კონგრესზე მონაწილეობა უზრუნველყოფილია. მოკარნახე სახელმწიფოს—გერმანეთის თვალ-საზრისით.

უკრაინა კი, დღიდან მისი დამოუკიდებლად გამოცხადებისა, უექველი მეომარი სახელმწიფოა. თუ ავსტრო-ჰუნგრეთს ეომება იგი, რუმინეთისა და სამხრეთ-დასავლეთ ფრონტების ხელში ჩაგდებით იგი მეომარი სახელმწიფოა და ბოლშევიკურ ველიკო რუსეთთანაც ომის პირობებში იმყოფება. აკი ოფიციალ გამოუცხადა ტროცკიმ უკრაინას ომი.

ომის დღეები დათვლილია და ზავი კარს მომდგარი. მაშასადამე, დიდ-ძალი ენერგიის დახარჯვა უკრაინას აღარ დასჭირდება, რომ საზავო კონფერენციაზე იყოლიოს თავისი დელეგატი და ეროვნულ თავისუფლების დასტური მიიღოს.

მაგრამ ზემო აღნიშნული მოსაზრებანი და შექმნილი სიტუაცია საქართველოს კითხვასაც სხვაგვარად სვამს. რომ კიდეც გამოკეთდეს ველიკო-რუსეთის მდგომარეობა, მასთან კავშირი მას შემდეგ, რაც უკრაინა დამოუკიდებელი რესპუბლიკური სახელმწიფოა, გაწყვეტილია. უკრაინა ჩვენსა და ველიკორუსეთს შუა გაუვალ კედლად წამოიჭიმა და ტერიტორიული მეზობლობაც კი დაირღვია ჩვენს შორის. ამასთანავე მთიელებმა მჭიდრო კავშირი შეჰკრეს და ძლიერი მთავრობაც კი შეჰქმნეს. იმათ უკვე გამოაცხადეს მთიელთა ავტონომია და ალბად იძულებული შეიქმნებიან დამოუკიდებელი ფედერაცია დააწესონ და ამით კიდევ უფრო დაგვაშორონ ველიკო-რუსეთს.

ამნაირად ველიკო-რუსეთთან შესახებად ორი აღმართული კედლის გვერდის ავლა დაგვჭირდება. ეს პირდაპირ შეუძლებელი არის და არც სასურველია. მაშასადამე, ეხლა საქართველოს კითხვა სულ სხვა ფარგლებში ისმება. გარშემორტყმული რკალი სულ სხვა გზას და „ორიენტაციას" გვიკარნახებს, ვინემ იმას, რომელსაც დღემდის ვადექით. ქართველი ერის ძალა-უფლება ჩვენი ეროვნული საბჭოს ხელთ იმყოფება და უცადოთ მის თქმას, მის მოქმედებას და მის ტაქტიკას ასე თუ ისე, აქეთ თუ იქით, ფიცხელი ნაბიჯების გადადგმა კი ყოვლად აუცილებელია.

იოსებ ხანანაშვილი.

ეროვნული საბჭო და სატყეო საქმე.

საქართველოს ტყეები იჩეხება და, მაშასადამე, სულ მოკლე ხანში ჰავა ზომიერი, ერთბამი აღარ იქნება, მდინარეები ნაყოფიერ ნაპირებს წაიღებენ, წალეკავენ, გვალვები და მოუსავლობა გახშირდება და ჩვენს ეკონომიურ კეთილდღეობას ძირი გამოეთხრება.

ამიტომ, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სატყეო საქმე, რაც შეიძლება, მალე უნდა მოაწესრიგოს: მოცდა აწ—შეუძლებელი-ღაა. მაგრამ როგორ?

უნდა გამოსცეს შემდეგი დეკრეტები. 1) არც ერთს მესაკუთრეს არ უნდა ჰქონდეს ნება გაჩეხოს ტყე არა-რაციონალური წესით; 2) ის ზიარი ტყეები, რომელთა პატრონებიც ერთმანეთს ეცილებიან და შეუბრალებლად სჩეხენ, სწვავენ და ანადგურებენ ხსენებულ ტყეებს, უნდა გამოცხადებულ იქნეს **დასაცავ ტყეებად.**

ხანდახან ძველი, ბიუროკრატიული კანონიც კი გამოაცხადებდა ხოლმე რომელსამე ტყეს, რომელსაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა, დასაცავ ტყედ. დღეს კი მეტი სიფხიზლე გვმართებს.

დასაცავი ტყის მოვლა-პატრონობა უნდა ჰქონდეს მინდობილი განსაკუთრებულ ტყისმცველებს, რომელთაც ექნებათ სხვათა შორის კანტორა, ეყოლებათ ხაზინადარი და სხ. ტყის ექსპლოატაცია იქნება წარმოებული რაციონალური წესით. ტყის მცველების ჯამაგირებს გაისტუმრებს ტყისავე შემოსავალი. თუ წმინდა მოგება დარჩა, ხაზინას გადაეცემა, საიდანაც ტყის პატრონები მიიღებენ თავთავის ნაწილს.

სხვა გზა არ არის. მაგრამ აქვს თუ არა საქართველოს ეროვნულ საბჭოს უფლება გამოსცეს დეკრეტები? უექველია, აქვს და არა მარტო მიტომ, რომ ამიერ-კავკასიის საბჭომ ის იურიდიულ პირად აღიარა, არამედ უმთავრესად მიტომ, რომ ის—ქართველი ხალხის ნდობით მოსილია.

ვასილ წერეთელი.

ომი და ზავი.

ფრანგ-ინგლისელთა ზარალი

ამ თერთმეტ თვის განმავლობაში გერმანელებს დაუტყვევებიათ 29,550 ფრანგი და 22,000 ინგლისელი. ინგლისელებს ტყვეებთან ერთად სულ დაუკარგავთ 72,778 ჯარის კაცი და აფიცერი, ფრანგს—50.000.

ოსმალეთის სამზადისი

ლიბანის გამგედ ოსმალეთის მთავრობისაგან დანიშნულია ისმაილ ჰაკიბეი, ოსმალეთის ყოფილი კომისარი ეგვიპტეში. ლიბანი გაყოფილია სამ ოლქად: პირველი, რომელიც შეიცავს ჯებელის და ქესერვანის მაზრებს, შეერთებულია ბაირუთთან. მეორე: ბოტრუმის და კურის მაზრებით, შეერთებულია ტრიპოლისთან და მესამე ჰასბუნის, პეტარის და მლ-საკუნრაის მაზრებით შეერთებულია პალისკისთან.

ახალმა გამგემ მოახდინა საიდუმლო მობილიზაცია იმ რაზმებისა, რომელნიც თხრილებში შეასრულებენ ყოველგვარ სამუშაოს. რაზმების გამგედ დანიშნულია გერმანელი ოფიცერი. ოსმალეთის კონსულმა ბერლინში გამოაცხადა 1877 წ. დ. ჯარში გაწვევა. ყველა მათგანი უსაცილოდ უნდა დაბრუნდეს გერმანეთიდან სტამბოლში.

შვეიცარიელ გაზეთების ცნობით, ჯავათბეიმ, რომელიც იყო ბერლინში ახალი სესხისთვის, საქმე კარგად ვერ წაიყვანა. გერმანეთმა კატეგორიული უარი განუცხადა.

სტამბოლიდან დეპეშის შემდეგ, შესდგა „ერთობის და პროგრესის" კრება პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით. მოხსენებათა შემდეგ კომიტეტების თავმჯდომარედ არჩეულია თალაათი და ჰუსეინ ჯაიდი.

საზავო კონფერენცია

გერმანელების და რუს დელეგატების შეთანხმებით საზავო კონფერენცია სტოკჰოლმში იქნება მოწვეული.

ტროცკის მოწოდება ევროპიელთადმი

რუსეთის ფრონტზე დროებით ზავის ჩამოგდების გამო ტროცკიმ მოწოდებით მიმართა ევროპის ერებს. იგი მოუწოდებს ყველა ქვეყნების მუშებს, რათა მათ ბრძოლა გამოუცხადონ მმართველ წრეებს და აღკვეთონ ისეთი მთავრობანი, რომლებიც ზავს ეწინააღმდეგებიან.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

დაჭრა. დეკემბრის 14 წყალ გაღმა უბანში ვ. აბზიანიძემ რევოლვერით მძიმეთ დასჭრა ა. ჯავახაძე.

◆ **კრების გადადება.** დეკემბრის 14-ს უნდა მომხდარიყო პარტიათა წარმომადგენლების თანადასწრებით სასურსათო თათბირი. თათბირი გადაიდო ოთხშაბათისთვის.

◆ **საადგილმამულო თათბირი.** ამიერ-კავკასიის სამამულო მმართველობა აცნობებს ქუთაისის საგუბერნიო სამამულო მმართველობას, რომ დეკემბრის 18 თბილისში მოხდება საადგილ-მამულო თათბირი და წინადადებას აძლევს ქუთაისის საგუბერნიო საადგილმამულო კომიტეტს რათა გაგზავნოს თათბირზე თავისი წარმომადგენელი.

◆ **სასურსათო საქმე.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა თავის უკანასკნელ სხდომაზედ დაადგინა, რომ სიმინდზე ჯერჯერობით ძველი ფასი დარჩეს და ნება მიეცეს ამიერ კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებას გაზიდოს სურსათი კოპერატივებისათვის, კერძო პირებს კი უფლება ეძლევათ სურსათის შემოტანა გატანის მხოლოთ ამისთვის მათ უნდა ჰქონდესთ შესაფერი მოწმობა სამაზრო ან სარაიონო სასურსათო კომიტეტებისაგან.

◆ **საღამო.** დღეს წყალ გაღმა უბანში 110 სათადარიგო პოლკის საკრებულო დარბაზში გაიმართება დიდი საღამო კაბარე. საღამოს აწყობს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქალთა წრე.

◆ **ცოფიანი ძაღლები.** ბოლო დროს ქალაქში გამრავლდა ცოფიანი ძაღლები; გუშინ თეირალიევის ქარხანასთან ოფიცერმა შეუდლისამ რევოლვერით მოჰკლა ერთი ცოფიანი ძაღლი.

◆ **წარმოდგენა.** ხუთშაბათს დეკემბრის 14-ს ქართულ დრამატიულმა დასმა პირველად წარმოადგინა ია ეკალაძის ახალი პიესა „ნომერი ოცდა ერთი ჯვრით." წარმოდგენამ საუცხოვოთ ჩაიარა და ავტორს ოვაციები გაუმართეს.

◆ **ანარქია სოფლად.** ქვიტირის საზ. აღმასრულებელი კომიტეტი გუბერნიის კომისარს აუწყებს, რომ ქვიტირის საზოგადოებაში თანდათან ფეხს იკიდებს უწესრიგობა-ანარქია და თხოულობს 6 თოფს რათა სოფლის საზოგადოებამ თავის ძალღონით ებრძოლოს ანარქიას.

◆ **შავი ჭირის წინააღმდეგ.** ქუთაისის ქალაქის გამგეობასთან ცალკე კომისია არსებობს, რომელიც სისტემატიურად გამართავს სხდომებს შავი ჭირის საწინააღმდეგო ზომების მოსანახათ.

თბილისი.

— **ამიერ კავკასიის კომისარიატმა დანიშნა:** 1) შრომის კომისარის თანაშემწედ ი. ფირცხალაიშვილი, 2) საკონტროლო კომისრის თანაშემწედ რუსტამბეგოვი, 3) სავაჭრო-სამრეწველო კომისრის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად — ამხანაგი სამიწადმოქმედო კომისრისა ბეგი ბებულოვი და 4) თბილისის გუბერნიის კომისრად—ნაფიცი ვექილი ქ. ჯაფარიძე.

— **მასწავლებლების ჯამაგირი.** ამიერ კავკასის კომისარიატმა დაადგინა, რომ სახალხო სკოლების მასწავლებლებს, რომელნიც ჯამაგირს ღებულობენ სახაზინო ანუ საერობო თანხიდან, ჯამაგირი გაუდიდონ თვიურად წარსულ ღვინობისთვის პირველიდან 210 მანეთამდე, ხოლო იმ მასწავლებელთა ჯამაგირების შესახებ, რომელნიც ფულს ღებულობენ ქალაქებიდან ანუ სოფლებიდან, პროექტის შემუშავება მიენდო განათლების საქმეთა კომისარს.

— **მუშათა და გლეხთა ყრილობანი.** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა დაადგინა მიცეს მუშათა საბჭოს 25000 მანეთი მუშათა ყრილობის მოწვევაზე ხარჯების დასაფარავად, ხოლო იმავე საქმისათვის გლეხთა საოლქო საბჭოს მისცეს 50,000 მან.

— **კავკასიონის უღელტეხილის გზა.** თბილისში და ამიერ კავკასიის კომისარიატს პროექტი წარუდგინა და მასთან მოლაპარაკება აქვს კავკასიონის უღელტეხილზე რკინის გზის გაყვანის შესახებ.

— **მაჰმადიანების ლაშქარი.** თბილისს ჩამოვიდა გენერალი ალი-აღა შიხლინსკი, რომელიც დასავლეთის ფრონტზე უმფროსობდა მე-10 ლაშქარს, შიხლინსკის დავალებული აქვს **მაჰმადიანთა ლაშქრის შედგენა**

ეროვნული კითხვა.

რადა და სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირი

პეტროგრადის ყაზახთა წრეებს ცნობა მიუღიათ: უკრაინას რადა და სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირი პოლიტიკურად შეთანხმდნენ. კიევში ყაზახთა ჯარების წარმომადგენლები დაინიშნა.

უკრაინის საერთაშორისო დამოკიდებულება.

კიევიდან პირდაპირის მავთულით იტყობინებიან ბრესტლიტოვსკიდან ჩამოსულმა ჩვენმა დელეგატებმა საზავო მოლაპარაკების დროს შენიშნეს, რომ სრულიად რუსეთის „წარმომადგენლები“ კაუფმანი, როზენფელდი, კამენევი, და ერთიც გერმანული გვარის ადმირალი—რუსეთს ნაწილ-ნაწილ ჰყიდდენ. ამ ცინიურ საჯარო ვაჭრობაში რომ უკრაინამ თავის ინტერესები დაიცვას, მცირე რადამ ქრისტეშობისთვის 9 ს, საღამოთი მიიღო გენერალურ სეკრეტარიატის დეკლარაცია რომლითაც უკრაინის სრული საერთაშორისო დამოუკიდებლობა ცხადდება, ამასთან ნათქვამია, რომ უკრაინა შემდეგში რუსეთთან ფედერაციისათვის იზრუნებსო.

ეშელონების შედგენა.

როსტოვის ოლქის ჯარების უფროსმა გენერალმა ნაზაროვმა ნება დართო უკრაინელ ჯარის კაცებს, რომ მათ საგანგებო ეშელონები შეადგინათ და უკრაინაში წასულიყვნენ.

თათრების ესკადრიონი თეოდოსიაში

თეოდოსიაში მოვიდა ყირიმელ თათართა ცხენოსან პოლკის ესკადრონი, რომლის ადგილობრივ მაჰმადიანთა კომიტეტმა გამოიწვია ქალაქის დასაცავად. მცხოვრებნი აღფრთოვანებით შეეგებნენ. თეოდოსიის რუსეთთან შეერთების (1780 წ). შემდეგ პირველადააფრიალეს თემურლენგის მტრედისფერი დროშა. შეხვედრისას მღეროდა თათრების ეროვნული ორკესტრი, რომელმაც თემურლენგის მარში შეასრულა. თეოდოსიაში მდგომი ყაზახები დონში წავიდნენ.

კუნძულ ნარგენის რესპუბლიკა.

რეველის რაიონის კუნძულ ნარგენმა თავისი თავი რესპუბლიკად გამოაცხადა. შეიმუშავა რაღაც კონსტიტუციის მაგვარი და თავის ფულს უშვებს. შეადგინეს კაბინეტი. სწავლა განათლების მინისტრად—ფერაშილია, შრომის მინისტრად—კაჩეგირი, ფინანსების—დურგალი. სხვათა შორის ფინანსების მინისტრს წერა-კითხვა არ სცოდნია.

საქართველოს

ეროვნულ საბჭოს აღმ. კომ. დადგენილებანი

1) ქართულ უნივერსიტეტის საჭიროებათა დაწვრილებით გამორკვევა კომიტეტმა დაავალა ქონებათა გამგე კომისიას.

2) პროექტი მოწოდებისა ქართველ ერისადმი კომიტეტმა მოიწონა. მოწოდება ამ დღეებში გამოვა.

3) ოდესისა და კიევის ოლქებში სამხედრო კომისარებად საბჭომ დანიშნა შალვა დადიანი და ბ-ნი დავით ვაჩეიშვილი, ხოლო კომისრად სამხრეთ-დასავლეთ ფრონტისა ოდესის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ივ. ლორთქიფანიძე.

4) კომიტეტმა საჭიროდ ვერ სცნა შეიწყნაროს თხოვნა ჯარში გაწვეულ ქართველ სახალხო მასწავლებლებისა, რომ ისინი განთავისუფლებულ იქმნან სამხედრო ბეგარისაგან.

შაბათს, 16 დეკემბერს, წყალ-გაღმა უბანში 110 სათადარიგო პოლკის საკრებულო დარბაზში გაიმართება **დიდი**

საღამო

ამ საღამოსთვის მოწვეულნი არიან ქ. თბილისიდან **ცნობილნი მუსიკოს-მომღერალნი,** აგრეთვე ჩამოდის გურული ხორო. იქნება მრავალი სხვა და სხვა გასართობები და სიუპრიზები. დაწვრილებით აფიშებში და პროგრამებში.

გამგე: წყალ-გაღმა უბნის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქალთა წრე.

საჭირო ახსნა უსაფუძვლო ეჭვების გამო

ამა 1917 წლის აპრილში ჭიათურის რაიონის კომიტეტს საჩივარი წარუდგინეს ჩემზე რამდენიმე პირმა როგორც სოფელ მეჩხეთურისა, მანდეთისა, თვალუეთისა, სვერისა და ცეცხის წარმომადგენლებმა. ამ წარმომადგენლებმა: იასონ დავითისძე ცუცქირიძემ სიმონ ბიწაძემ, ბეგლარ ციცვიძემ ანთიმოზ მეფარიძემ და დათა მულაძემ კომიტეტს ასეთი რამ გადასცეს:

1909 წელს ჩვენ „სოფელ“ ცეცხში ვლადიმერ წერეთელს სახლები დაეწვა ამისთაობაზე ჩვენ ზემოდ დასახელებულ სოფლებს გადაგვახდევინა ბოქაულმა 18, ათასი მანეთი სამ დღეში, ეს ფული ვალად. წერეთელმა მიიღოო, ეხლა ვითხოვთ წერეთელმა პროცენტით დაგვიბრუნოს ეს ფულიო. ამ საგანზე ამა წლის. 29 ივლისს, დაგვიბარა ჭიათურის რაიონის კომიტეტმა, და რომ მოისმინა მოწინააღმდეგე მხარეებიდან საჩივარი და პასუხი, გვირჩია საქმის გათავება. სამედიატორო სასამართლოთ. ჩვენც დავეთანხმეთ, დავნიშნეთ მედიატორების არჩევის დრო, და ალაგი ქუთაისში მაგრამ დანიშნულ დროს, სოფლის წარმომადგენლები არ მოვიდნენ შემდეგ მოვიდა ერთი მათგანი. და მომთხოვა კიდეც, მერე ვადა დაგვენიშნა მედიატორის ასარჩევად მაგრამ არც მეორეთ მოვიდნენ, მესამეთ მაცნობეს მათი კომისრისგან მოწერილი ბარათით ჭიათურაში მოდითო, ხალხიც იქ შევიკრიბებით. და პირადათ აგვიხსენით საქმის გარემოებაო. მეც დავეთანხმე და დაუნიშნე დრო, ერთ თვეში როცა მიბძანებთ გიახლებითქო მაგრამ კიდევ, არა მაცნობეს რა, ეხლა გაზეთის საშუალებით ვაცნობებ ჩემ მომჩივან ხუთ სოფლელებს. და ამ საქმეში დაინტერესებულ პირთ, რომ, ჩემზე ჩემი მომჩივნებისგან შემოტანილი ეჭვსა და საჩივრის ერთი სიტყვაც არ არის მართალი, ამის საბუთები ხელში მაქვს.

1.ი) ხალხს 18 ათასი მანეთი ჩემი სახლების დაწვისთვის და ჩემის გავლენით კიარ გადახდენია. ეს ფული გადუხდევინებია მათთვის მთავრობას. სხვადასხვა დანაშაულობისათვის. და მთავრობის მოთხოვნილების აუსრულებლობისთვის. ხალხს კი აბრალებენ შემდეგ დანაშაულობას 1) მას შეუნახავს ის „შაიკა“ რომელმაც წერეთელი მღვდელი მოკლა 2) დაუფარავს ყაჩაღები ჭეჭიაშვილი, ლობაძე და ცუცქირიძე 3) და დაუწვამთ ჩემი სახლი. ამისათვის ეს ჯარიმა გადუხდევინებია მთავრობას. ამ ფულებით სტრაჟები ჩაუყენებიათ ამ სოფელში. და რაც ფული ამ სტრაჟების ჯამაგირსა და ხარჯს გადარჩენია ეს ფული ხაზინაში გადაურიცხავსთ ცირკულიანის თანახმად როგორც „შტრაფი“. ამის, რაპორტები, პროტოკოლები, ბოქაულისა მაზრის უფროსისა მეფის ნაცვლისა წერილობა ხელთა მაქვს.

2) სახლი მე რომ არ დამიწვავს, ეს იქიდანა სჩანს რომ თვით ხალხი ყველა დანაშაულობაში გამომტყდარია თერთმეტი კაცი აურჩევიათ, როგორც ამ დანაშაულობის მეთაურები ეს თერთმეტი კაცი, დროებით კიდეც გადუსახლებიათ ეს მთავრობის საქმიდან სჩანს:

3) ხმა დოუგდიათ ვითომც ჩემი სახლები დაწვის დროს დაცლილი ყოფილიყოს. მაგრამ მე მაქს იმის საბუთები რომ დაწვის დროს მისულა მთავრობა, ხალხი შეუკრებია, და თვით ხალხს შეუფასებია სახლები ოციათას მანეთათ, და შიგნით დარჩენილი ნივთები ხუთი-ათას მანეთათ, და ამის გარდა ბევრი საბუთი მაქვს მისი, რომ თორმეტი თვალი სახლი, მთლათ სავსე იყო საოჯახო, და სამეურნეო ქონებით.

4) ერთმა მომჩივანმა თქვა მთავრობამ რო ფული გადაგვახდევინა, ეს წერეთლის წყალობით უნდა ყოფილიყოსო, მაშინ ჩვენ ამ გადახდილი ფულის უკანვე დაბრუნება ვიჩივლეთო, და კიდევაც გვიბრუნებდნენო, მაგრამ ჩვენ ვექილს. რაღაც ქაღალდზე მოაწერინა-წერეთელმა ხელი, და ჩვენი მისაღები ფული წერეთელმა მიიღო ქუთაისშიო, თუ იმის რაიმე საბუთს ჩემი მომჩივნები წამომიყენებენ, რომ. როდისმე რაიმე საქმე მქონია მათ ვექილებთან, ან როდისმე რამე ქაღალდზე ხელი მამიწერინებია, და ან ქუთაისში მე ფული მიმეღოს რასაც. თვითონ გადამიწყვეტენ იმას გადავიხდი. მაგრამ ეს ამბავი მოგონილი ჭორია;

6) ჩემი სახლის დაწვა მაცნობა სტამბოლში ჩემმა ცოლშვილმა წერილით მეორე დღესვე თხოვნადავწერე ქუთაისის გუბერნატორთან, და ვთხოვე ხალხს არა, ფერი გადაახდევინოთ, მე ხალხი არ მემტერებათქო. ამაზე მიპასუხა გუბერნატორმა შენთვის არაფერს არ ვახდევინებთ—, ჩვენ ალხს ვაჯარიმებთ თქვენი რა საქმეაო. აი ის დაბრუნებული თხოვნაც აქა მაქვს როცა გნებავთ ნახეთ:

7) თუ ხალხს ამის ეჭვი აქვს ჩემზე რომ ჩემი სახლები მე დავაწყობინე, შიგ რომ ხუთასი თუმნის ბარგი მქონდა, ეს რატომ მაინც არ გავიტანე? და ან რითვის უნდა დამეწვა?

8.) თუ ხალხის ფულის გადახდევინება ჩემი მოწყობილი იყო, სტამბოლიდან რომ [illegible] ხალხს [illegible] გადაახდევინოთქო,

9) თუ ხალხს ჩემი [illegible] ხუთ [illegible] ის 25-[illegible] მანეთი სულ არ მოვითხოვე და არ გადავახდევინე, რომელიც-სახლების დაწვის დროს შეეფასებინათ. თვითონ ხალხიდან არჩეულ პირებს?,

10) ჩემი სახლის დაწვიდან დღეს. მერვე წელიწადია და ნუ თუ მთელმა ხუთმა-სოფელმა, დღემდის არც მიჩივლეს არც მისაყვედურეს, და ისე სიყვარულით და მეგობრობით მექცეოდენ. როგორც მე მათგან პატივცემულ ვიყავი? მე ეს არ მწამს.

მე ვგრძნობ რომ. ხალხში ეჭვი დაბადა იმან რომ ჩემმა ცოლმა სახლების დაწვიდან მეორე წლის დამლევს, მიიღო პირდაპირ პეტროგრადიდან საჩუქარი, ანუ ზარალისათვის. შესაწევარი ფული. იმ ფულებიდან, რომელიც რევოლუციის დროს. სახელმწიფოს ქონდა გადადებული რევოლუციით დაზარალებულთათვის დასახმარებლად და მე სე ცნობილმა დეპუტატმა. ბ. ე. პ. გეგეჭკორმა მასწავლა. და ამის თხოვნა. იმ დღესვე დავაწერინე ნაფიც ვექილს ბ. გრიგორ ს. ბარათაშვილს. და ვითხოვეთ იმ ფულიდან დახმარება; ამ თხოვნის მასალაც აი ეს გახლდათ.

1) მთავრობის გერენალმა ალიხანოვმა დამიწვა ჭიათურაში. 4-თვალი დუქანი და 12-თვალი სახლი. 1906 წელში.

2) ოცდა ათი წლის ვაჟკაცი უმფროსი ჩემი შვილი მთავრობის სამსახურში რევოლუციის დროს დაიღუპა.

3) მე თოფი მესროლეს. აგრარულ ნიადაგზე მადა გახსნილმა ზოგი ერთმა ჩემმა მეზობლებმა, და ამ მიზეზით ოჯახი და ცოლშვილი უპატრონოთ მივატოვე. და სამ წელიწადს სამზღვარ გარეთ ვცხოვრობდი 1906—1909 წლის დამლევამდის

4) ჩემი ცოლშვილისა და მამულის. მეთვალყურე კაცს. კრეს თოფი და შუა გახვრიტეს. იმ დროს როცაა ყანის მოზიარეს სიმიდი გაუყო 1908 წელში.

5) ერთი ვაჟი სამზღვარ გარეთ უნივერსიტეტში მყავდა. და ამ მიზეზით სახლში დაბრუნდა, მეორე ვაჟი გიმნაზიის გათავებული წელიწადნახევარს უნივერსიტეტში ველარ წავიდა უსაშუალობის გამოთ.

6) თელი სახლკარი ოჯახისა, სამეურნეო განწყობილება და ქონეაა დამიწვეს. და განა გასაკვირველიას. რომ ამდენი ზარალ ის მასალით ჩემი მაცადინობით, და იმ დამხმარე პირებით, რომელნიც მე მაშინ პეტროგრადში მყავდა, მიმეღო რაღაც მცირე დახმარება? ეს არავისთვის გასაკვირველი არ უნდა იყოს,

მე დარწმუნებული ვარ ჩემ მომჩივან მეზობლებს ასე დაწვრილებით მაშინდელი ჩემი განსაცდელის გავლა არც ეცოდინებოდათ თორემ. დღესეც დროთი არავინ არ ისარგებლებდა, და მიჩივლებდა. რადგან არასოდეს მე ჩემ მეზობლებთან, უთანხმოება, სიძულვილი და საჩივარი, არ მქონია, არც მექნება, და აწიც ღმერთმა ნუქნას- მე მადლობელი ვარ, იმ ხალხის და მათი ვექილების, რომლებმაც შემიჩივლეს, რომ თუკი ასეთი ხმა ტრიალებდა ჩემზე, ჩემდა გაუგებრად. დღეს რომ მაინც გამოამჟღავნებს მეც მაცნობეს მათი გულის ნადები, და ჩემგანაც გაიგეს, საქმის ვითარების ახსნა, ამისათვის. ამ ჩემ წერილს გაზეთის საშვალებით ვაცხადებ, და უგზავნი ამ სოფლებს გაზეთის სამ სამ ცალს, იმ ხუთი სოფლის ეკლესიების. მოძღვართ რომელმაც მე მიჩივლეს, და ვსთხოვ პატივცემულ მოძღვრებს უმორჩილესად, შემთხვევით მათი მრევლის შეკრების დროს, ეს ჩემი წერილი წაუკითხოს უმეტეს ნაკლებით; მათ. და გააცნოს. სინამდვილით, ამ საქმის ვითარება ამასთანავე ვთხოვ ყველას. ამ ჩემი წერილის წამკითხველთ. ვინც ამ საქმეზე დაინტერესებული ბრძანდებიან. თუ სურსთ. დღეიდან ორთვეში. როცა ნებავსთ. მობძანდენ ჩემ სახლში ქალაქ ქუთაისში თფილისის ქუჩაზე. რომელსაც ვაჩვენებ ხსენებულ ყველა საბუთებს. დამამტკიცებელს, ამ საქმის სინამდვილესა და სიმართლისსა.

პატივისცემით **ვლადიმერ ჯიბოს ძე წერეთელი.**

15 დეკემბერი 1917 წ.
ქუთაისი.

ერობა კავკასიაში.

წერილი მეოთხე.

(**დასასრული** იხ. „ჩვენი ქვეყანა“ № 200)

მეოთხეში ჩამოთვლილია ერობის ორგანოების მოვალეობანი და სიმართლე უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში პროექტის შემადგენელთ არა დავიწყებიათ რომ და რაცკი საჭიროა ხალხისათვის, მათი ცხოვრებისათვის, მათი ჯანმთელობისათვის და უფლების დაცვისათვის, ყოველივე ჩამოთვლილია დაწვრილებით და ეს აღსასრულებლად დავალებული აქვს საერობო დაწესებულებათ ოცდა ორი მუხლი ამ მოვალეობისა დაწვრილებით არის ჩამოთვლილი ამ მეოთხე განყოფილებაში და ბოლოს თავდება მით, რომ იმ საქმეში რომელნიც შეეხებიან მცირე ერთეულებს საზოგადოდ ექვემდებარებიან სამაზრო ერობათა დაწესებულებას, უკანასკნელების ესე იგი ყველა სამაზროების, საქმეები ექვემდებარება გუბერნიის ერობას და გუბერნიების კი მთელი ოლქის (округъ) ერობას.

მეხუთე განყოფილებაში აღნიშნულია ერობის უფლება მისს საშინაო საქმეებში. მას აქვს უფლება გამოსცეს წიგნები, ბროშურები, ჟურნალ-გაზეთები უცენზუროდ; ყოველ გვარ ერობას, როგორც მცირედ ერთეულსა, ისე მთელ მაზრისას უფლება აქვს გამოსცეს თავის რაიონის მცხოვრებლებისათვის სავალდებულო დადგენილებანი, აღძრას კითხვა ახალი კანონების გამოცემაზედ და ძველების, თუ ისინი უვარგისნი არიან, გაუქმებაზედ ყოველ გვარი ამ რიგად შემოღებული გადაწყვეტილება, დამტკიცებული კრების მიერ, თუ მცხოვრების მიერ, თუ მცხოვრებლებმა ნება ყოფლობით არ აღასრულა. მას მოიყვანენ სისრულეში ძალადატანებით, ესე იგი, სამაზრო ანუ საგუბერნიო მილიციის ძალებით, რომელთაც ინახავს ერობა და რომლის მორჩილებაშიაც არიან ისინი.

მეექვსე განყოფილებაში პროექტი ამბობს მთავრობას ერობის დამოკიდებულებაზე. ყოველივე საერობო დაწესებულებანი დამტკიცებული წესდებათა ფარგალში მუშაობენ თავისუფლად და მთავრობის ხელშეუხლებლად გუბერნატორებს და შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება აქვს თვალყური ადევნონ საერობო საქმეების კანონიერ წარმოებას და ამისათვის ყოველგვარი გადაწყვეტილება, რომელსაც საზოგადო კრება მიიღებს ერთეულში, მაზრაში, ანუ გუბერნიაში, უნდა ეცნობოს გუბერნატორს და თუ ეს გადაწყვეტილება მთელს ოლქს (округъ) შეეხება, ამას შეატყობინებენ შინაგან საქმეთა მინისტრს. კრების მიერ შემუშავებული დადგენილებანი საზოგადოდ სავალდებულოთ ითვლებიან მაშინ, თუ მას გუბერნატორი დაამტკიცებს, თუ ის შეეხება მარტო მცირე ერთეულის, სამაზროს, ანუ გუბერნიის ერობას და თუ ის მთელი ოლქის ერობის გადაწყვეტილებაა, მაშინ ამტკიცებს მინისტრი. გუბერნატორებმა უნდა დაამტკიცონ ერთი კვირის განმავლობაში და მინისტრმა ერთს თვეში; თუ, ვინიცობაა, გუბერნატორი, ანუ მინისტრი დამტკიცების წინააღმდეგია, მაშინ ეს გადაწყვეტილება უბრუნდება კრებას ხელახლად გასარჩევად და ეს იქნება მისი უკანასკნელი დადგენილება და თუ ეს შემდეგაც გუბერნატორმა, ანუ მინისტრმა არ დაამტკიცეს, ეს საქმე გადადის სენატში, რომელსაც სრული უფლება აქვს ან დაამტკიცოს ან უარა უთხრას მომჩივანს ყოველ გვარი, საჩივარი ერობის აღმასრულებელ ორგანოზედ ერობის საზოგადო კრებაზედ უნდა გაირჩეს და თუ მომჩივანი ამ უკანასკნელს არ დაემორჩილა, მას შეუძლია სენატს მიმართოს.

უკანასკნელ მეშვიდე განყოფილებაში პროექტი ამბობს, თუ როგორ უნდა მოეწყოს ერობა ციმბირში: ერობის შემოღებისათანავე ისპობა ყოველგვარი საგლეხო დაწესებულებანი, წოდებანი უნდა გათანასწორდენ, მის მეთვალყურე ორგანოები (органы надзора) გაუქმდებიან, პოლიცია, ანუ ახალ მოდის ენით, რომ ვთქვათ ქალაქებს და მაზრებს თავის ხარჯზედ მილიცია ეყოლება არეთვე სამსაჯულოები. წოდებრივი სამსაჯულოები სამამასახლისოებში უნდა შეიცვალოს და ყველა მცხოვრებსათვის ერთნაირად უნდა იყოს და მათი უფლებანი უნდა გაფართოვდეს ისე, როგორც ეს პოლონეთშია (гминные суды). ამ გვარი სამსაჯულოების თავმჯდომარე და წევრები თითეულ ერთეულში ირჩევიან საზოგადო კრებაზედ ამას გარდა გუბერნია განიყოფება რამდენიმე ნაწილად სადაც ინიშნებიან მომრიგებელი მსაჯულები, რომელთაც ირჩევენ გუბერნიის კრებაზე და ეს პირნი კი ნამდვილი იურისტები უნდა იყვნენ. საპატიო მსაჯულები და თავმჯდომარენი სხვადასხვა ერთეულებისა მაზრიდგან დანიშნულ ვადებზედ იკრიბებიან ერთად და ამას ქვია მაზრის მომრიგებელ მსაჯულთა კრება (уѣздный мирновой съѣзд) და განარჩევენ საჩივრებს, რომელიც შემოვა მათ სახელზედ, ან მცირე ერთეულის ანუ მაზრის მსაჯულებზედ ამათი გადაწყვეტილებას განსაჩივრება შეიძლება მხოლოდ სენატში:

ეს არის მოკლედ ციმბირის ერობის პროექტი*), რომელიც ამჟამად ჩვენთვის ხელსაყრელია და დარწმუნებული ვარ, რომ უკეთესს ჩვენ ვერ გამოვიგონებთ. ამ პროექტში არც ერთი მხარე ჩვენის ერის საჭიროებათა არ არის დატოვებული უყურადღებოდ და თუ ნამეტანს არ მოვინდომებთ ისე, როგორც ქალაქის მამების არჩევნების დროს, ერობის შემოღებაში, დარწმუნებული ვარ, ხალხი კმაყოფილი დარჩება და ყოველნაირად ხელს შეგვიწყობს მის განხორციელებაში. ხალხის ინტერესებზედ უკეთესი მზრუნველობა შეუძლებელია ახლა ადამიანმა შემოიღოს. ის წესები, რომელიც ქალაქის არჩევნებში იყო მიღებული, ერობას არ შეესაბამება და იმის მაგიერ, რომ სარგებლობა მოუტანოს ამ დალარიბებულს, დაზარალებულს ყოველის მხრით ხალხს, ვნებას უქ·დის და თვით ისე სანატრელი ამ ორმოცდა ათ წლის განმავლობაში ერობა თავიდანვე დაკარგავს ხალხისათვის ყოველ-გვარ ინტერესს და შემოღებული ერობა უნიადაგოთ დარჩება. მოწინააღმდეგე პარტიებად დაყოფა ამგვარ შინაურ, საოჯახო საქმეებში, რომელნიც ერობამ უნდა აწარმოვოს, სრულიად არ არის მისაღები, მეტადრე იმის გამო, რომ ერობა უპარტიო დაწესებულებაა და მან ერთნაირად უნდა იზრუნოს ყველასათვის, რომელ პარტიასაც უნდა ეკუთნოდეს ჩვენის ქვეყნის მკვიდრი მცხოვრები. პოლიტიკა სხვა საქმეებში გამოვიყენოთ და ერობაში მას ნუ შევიტანთ, თუ არ გვინდა მისი ამ თავიდანვე დაღუპვა. ნუ ვათქმევინებთ ხალხს, რომ ერობის შემოღებით თავს მოვახვიეთ უმნიშვნელო და მისთვის საზარალო დაწესებულება.

დიმ. ნაზაროვი.

---

*) კარგი იქნებოდა, რომ პატივცემული ქართული რედაქციები გადათარგმნიდენ ზემო ხსენებულს ციმბირის საერობო პროექტს და დაბეჭდავდენ თავის პატივცემულ გაზეთებში. მე მგონია, ეს საჭიროც უნდა იყოს.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ზ. კვირკველია.